სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 6-48

11 10 2021წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ინტერნეტ ტელევიზიის „გსსუ. ტვ"/„GSSU.TV" შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შეიქმნას ინტერნეტ ტელევიზიის „გსსუ. ტვ"/„GSSU.TV";

2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს ინტერნეტ ტელევიზიის „გსსუ. ტვ"/„GSSU.TV" დებულების დამტკიცება;

3. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი